

საქართველოს კანონი

საქართველოს საგადასახადო კოდექსში
დამატების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. საქართველოს საგადასახადო კოდექსის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №41, 30.12.2004, მუხ. 200) 281-ე მუხლს დაემატოს 21¹ ნაწილი შემდეგი რედაქციით:

„21¹. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ტელემაუწყებლის ლიცენზიის მფლობელებს შეუწყდეთ ამ ნაწილის ძალაში შესვლის დღისათვის წარმოშობილი საგადასახადო დავალიანებები. ამასთანავე, საგადასახადო ორგანოებმა აღნიშნულ დავალიანებათა (მათ შორის, საურავების) ჩამოწერა განახორციელონ გადამხდელის პირად ბარათზე ასახვით, ამ კოდექსის 92-ე მუხლის გაუთვალისწინებლად. დავალიანების ჩამოწერის წესი განისაზღვროს საქართველოს ფინანსთა მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი

